ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #2

28 მაისი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 14.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყემელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
ალექსი ლომინაშვილი
თეონა ფახურიძე
მაია კბილაშვილი
ფრიდონ მაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა
რუსუდან გეწაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძე, ამავე სამსახურის წარმომადგენელი: ზაირა კამლაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მარეხი მშვენიერაძე, ამავე სამსახურის წარმომადგენელი: ციცო მაჩიტაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები, მათი დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს. ნინო მშვილდაძე

   თანამომხსენებელი: ზაირა კამლაძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, ბაღდათის ტერიტორიაზე არსებული უფასო სასადილოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს. მარეხი მშვენიერაძე

   თანამომხსენებელი: ციცო მაჩიტაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები, მათი დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძემ განაცხადა, რომ მოხდა ბერიეთის ტაძრის აღდგენა სოფ. კაკასხიდის ტერიტორიაზე ფონდი ქართუს დახმარებით რაც მართლაც ძალიან კარგია

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა კითხვით მიმართა ნინო მშვილდაძეს, რომ დიმნას ციხესთან დაკავშირებით რა ხდება თუ იგეგმება რაიმე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძემ უპასუხა მაია კბილაშვილს, რომ 2018 წელს მოვახდინეთ ეზოს გაწმენდითი სამუშაოები რამოდენიმეჯერ მივწერეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაბამის სამსახურებს და გვითხრეს, რომ

წარმომადგენელი ქუთაისიდან შეისწავლიდა დიმნას ციხისთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ დიმნას ციხე არის უძველესი კულტურის ძეგლი და აუცილებელია მისი მოვლა პატრონობა შესაბამისი წესების დაცვით

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა კითხვით მიმართა ნინო მშვილდაძეს, რომ ტურისტები რომლებიც შემოდიან ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენ არიან ინფორმირებული კულტურული ღირსშესანიშნაობების გასაცნობად და დასათვალიერებლად

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძემ უპასუხა მაია კბილაშვილს, რომ იგეგმება შესაბამისი ცენტრის გახსნა იქნება შესაბამისი ბუკლეტები სადაც დატანილი იქნება ღირსშესანიშნაობები და გაეცნობა ტურისტი და დაგეგმავს თუ სად ისურვებს წასვლას

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა ნინო მსვილდაძეს, რამდენად არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტში ასეთი სახლების შენარჩუნება რომ არ დაზიანდეს ან საჭიროებს რემონტს ისე, რომ არ დაკარგოს ძველი ილერსახე რომელსაც აქვს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ ძველი სახლები, რომელსაც აქვს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ რეკონსტრუქციას ეს საკითხები შეთანხმების საფუძველზე განიხილება კულტურის სამინისტროში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები, მათი დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, ბაღდათის ტერიტორიაზე არსებული უფასო

სასადილოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ

კომისიის წევრი: სიმონ ჭოღოკავამ განცხადა, რომ კარგი არის ეს პროექტი ლარიან მედიკამენტებთან დაკავშირებით მაგრამ არის რაღაც პრეპარატების დეფიციტი
კომისიის წევრი: თეონა ფახურიძემ განაცხადა, რომ ეს ლარიანი წამლები უკვე უფასოა მიხვალთ უბნის ექიმთან და აფთიაქიდან მოხდება წამლების გაცემა, მაგრამ არის რაღაც დასახელების პრეპარატების დეფიციტი ამ წამლებს იღებენ პენსიონრები
კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა ციცო მაჩიტაძეს, უფასო სასადილოში თუ არის შეუფერხებლად პროდუქციის მომარაგება
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი: ციცო მაჩიტაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ პროდუქციის მომარაგებაზე არ ვართ უკამაყოფილო მაქსიმალურ ყურადღებას ვიჩენთ ჩვენც ჩვენი სამსახური და ვახორციელებთ კონტროლს

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა მარეხი მშვენიერაძეს, რომ თუ ვამოწმებთ კალორაჟს უფასო სასადილოებში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ განაცხადა, რომ ვების ობიექტებს ამოწმებს სურსათის უვნებლობის სამსახური კალორაჟს ჩვენ ვერ ვამოწმებთ რა საჭმელები მზადდება შესაძლებელია გაკონტროლდეს და რა რაოდენობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსასურის, ბაღდათის ტერიტორიაზე არსებული უფასო სასადილოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი